# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№92 (24.972) შაბათი, 27 - 29 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 30-35, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 29 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი N იუსი

საქართველოსა და მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განათლებისა და კულტურის სფეროში ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და მექსიკას შორის თანამშრომლობას კულტურისა და განათლების სფეროში. შეთანხმების თანახმად, მხარეები გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ უწყებათაშორისი კავშირებისა და სახალხო დიპლომატიის, ასევე, სტუდენტთა გაცვლის პროგრამების მეშვეობით საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და კავშირების გაღრმავებას ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის.

* * *

ბორჯომის ხეობაში ხანძრის ქრობის პროცესში სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები და თურქეთის რესპუბლიკის სამი სპეციალიზებული სახანძრო თვითმფრინავი ჩაერთნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები 24-საათიან რეჟიმში განაგრძობენ ხანძრის სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოებს. სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოებში, მეხანძრე-მაშველებთან ერთად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.

* * *

საია ეხმაურება გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთეს პირებმა, რომლებსაც შესაძლოა, დარღვეული ჰქონდეთ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი. ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლებას, „გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დამრღვევ პირთა გამოვლენისთვის და აღნიშნული პირების მიმართ გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმები“.

* * *

„სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ახსარ ჯიოევის განცხადებით, ნატოს სამხედრო წვრთნები, რომელიც საქართველოში ყოველწლიურად ტარდება, შეუძლებელია შეშფოთებას არ იწვევდეს და მიმდინარე პროცესებს „შეშფოთებით აკვირდებიან“. მისივე თქმით, საქართველოდან სამხედრო საფრთხის შემთხვევაში, „სამხრეთ ოსეთი“ თავის სტრატეგიულ პარტნიორს მიმართავს. „ჩვენ გვყავს პარტნიორი, მეგობარი - რუსეთი, რომელთანაც არის ორმხრივი შეთანხმებები ჩვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტების მიხედვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე“, - აღნიშნა ჯიოევმა.

მოამზადა
ია შველიძემ

# EXPO MED BATUMI - 2022

*კომპანია GEONET EXPO-ს ორგანიზებით, 16-18 სექტემბერს სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-3 საერთაშორისო გამოფენა ExpoMed Batumi გაიმართება, რომლის მიზანი საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, ახალი კონტაქტების დამყარება და სამომავლო თანამშრომლობაა.*



გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ერთჯერადი მოხმარების საგნები, სადიაგნოსტიკო აპარატურა, პრევენციული და პოსტდიაგნოსტიკური მკურნალობის მეთოდები, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, IT სისტემები, ორთოპედია, ფიზიოთერაპია/რეაბილიტაცია და სხვა. გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია და B2B შეხვედრები.

გამოფენასთან დაკავშირებით გუშინ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში, სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მოადგილე ზურაბ თენიეშვილი და საგამოფენო კომპანია GEONET EXPO-ს დირექტორი ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს GEONET EXPO-ს წარმომადგენლები გამოფენის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ და დაგეგმილი აქტივობები გააცნეს.

ანკა ჩხიკვაძე

# „ეტალონის“ წლევანდელი გამარჯვებული ქედელი მოსწავლეა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*„ეტალონი 2022-ის“ გამარჯვებული ქედის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ჩხიკვაძე გახდა. მან პირველი ადგილი 76 ქულით 6 წუთსა და 57 წამში მოიპოვა*

- ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ „ეტალონი 2022-ის“ გამარჯვებული ქედის მუნიციპალიტეტის მოსწავლე გიორგი ჩხიკვაძეა. ეს არა მარტო მისი, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის წარმატებაა. არაერთხელ მითქვამს, რომ „ეტალონი“ ერთ-ერთი წარმატებული და მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი ახალგაზრდების განვითარებისათვის. კიდევ ერთხელ ვულოცავ კონკურსში გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

გამარჯვებულ მოსწავლეს როლანდ ბერიძემ და გოჩა ტყეშელაშვილმა სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე, ქედის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, რესურსცენტრის წარმომადგენლები და ოქტომბრის საჯარო სკოლის მასწავლებლები ესწრებოდნენ.



საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2022“-ის პირველი და მეორე ეტაპი დისტანციურ ფორმატში ჩატარდა, რომელშიც 29 მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსის დასკვნით ტურში მოზიარდები მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებიდან ვიდეოპლატფორმის საშუალებით ჩაერთნენ, რომელსაც ღონისძიების ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა.

## 2024 წლის არჩევნები, შესაძლოა, ნაწილობრივ ელექტრონულად ჩატარდეს

3

## «ამ რესტორანში შემოსვლით თქვენ ეთანხმებით, რომ რუსეთი ოკუპანტია»

4


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# გონიოში სასტუმრო RADISSON BLU RESORT & RESIDENCES BATUMI GONIO აშენდება

***Radisson Hotel Group-ი აჭარაში ახალ პროექტს იწყებს - გონიოში სასტუმრო Radisson Blu Resort & Residences Batumi Gonio აშენდება. პროექტის დასრულება 2026 წლის პირველ კვარტალში იგეგმება და ის ბათუმში რედისონ ბლუს მეორე საკუთრება იქნება.*** სასტუმრო განთავსდება ზღვის სანაპიროზე და პირდაპირ იქნება დაკავშირებული პლაჟთან. შენობა გამოირჩევა შუშის ექსტერიერით, რომლის არქიტექტურაც ტრია გრუპის (Tria Group) არქიტექტორს - ლევან სიამაშვილს ეკუთვნის. მასში განთავსდება 500 ოთახი, ლუქსი და რეზიდენციები. სასტუმროს ნაწილი მოიცავს ორ რესტორანს, რომელიც დამსვენებლებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამზარეულოს შესთავაზებს. შიდა სივრცესა და სახურავზე განთავსდება ბარი დასვენებისა და გართობისთვის. სასტუმრო აღჭურვილი იქნება შიდა და გარე აუზით, სპა და ფიტნეს ცენრებით, კაზინოთი... Radisson Blu Resort & Residences Batumi Gonio სტუმრებს ასევე შესთავაზებს საკონფერენციო დარბაზებსა და ისეთ სივრცეებს, სადაც შეხვედრების ორგანიზება და გამართვაა შესაძლებელი.

მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი ინვესტიცია გონიოს, როგორც საკურორტო ზონას კიდევ უფრო მეტად განავითარებს.

გონიოში ახალი სასტუმრო 2026 წლის პირველ კვარტალში გაიხსნება.

- მსგავსი ტიპის პროექტები, სადაც ასობით ადამიანი დასაქმდება, უმნიშვნელოვანესია როგორც ჩვენი ქვეყნისა და ქალაქისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ბათუმი მიმზიდველი ტურისტული მიმართულებაა და ამ მხრივ ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ ტურისტების და ვიზიტიორების ზრდის კუთხით ძალიან დადებითი ტენდენცია გვაქვს, - აცხადებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი.



Radisson Hotel Group-ი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც აერთიანებს სასტუმროების 9 გამორჩეულ ბრენდს და მსოფლიოს 120 ქვეყანაში 1700-ზე მეტი მოქმედი და მშენებარე სასტუმროთია წარმოდგენილი. ბრენდის მთავარი დაპირება და მოწოდებაა: „ყველა მომენტი მნიშვნელოვანია, მე ამის გაკეთება შემიძლია“.

ანკა ჩხიკვაძე

# „მოდი, დავიკარგოთ WIZZ AIR-თან ერთად“

***იმერეთის რეგიონი მსოფლიოს ციფრული მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა - იგი ცნობილი მასშტაბური პროექტის „Let's GET LOST with WIZZAIR“ - „მოდი, დავიკარგოთ Wizz air-თან ერთად“ მონაწილეებს მასპინძლობს***

დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და ავსტრიის შემდეგ, საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ეს უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი ხორციელდება. კონკურსის ფარგლებში, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან 200-მდე ინფლუენსერსა და ბლოგერს ავიაკომპანიისგან უფასო სამგზავრო ბილეთები გადაეცა, სპეციალური ჩარტერი აბუ დაბიდან აფრინდა, დანიშნულების ადგილი კი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაშვებამდე პროექტის მონაწილეებისათვის უცნობი იყო. 600-მდე მსურველიდან ავიაკომპანიამ 200 მგზავრი შეარჩია, რომლებიც რეგიონის ღირშესანიშნაობებს, დაცულ ტერიტორიებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, იმერულ მარნებსა და გასტროსახლებს ესტუმრებიან.

პროექტიდან გამომდინარე, ავიაკომპანია ქუთაისის მიმართულებით აბუ დაბიდან რეისებზე სიხშირეების გაზრდას ვარაუდობს, რაც ქვეყანაში მაღალმხარჯველი ტურისტების შემოსვლას შეუწყობს ხელს.




„საქართველო მსგავს მასშტაბურ პროექტს პირველად მასპინძლობს. ეს არის უდიდესი შესაძლებლობა როგორც ქუთაისის აეროპორტისთვის, ისე იმერეთის რეგიონისთვის, წარმოჩნდეს ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე. მადლობა გვსურს გადავუხადოთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, რომ 50-ზე მეტი მიმართულებიდან, სადაც ისინი დაფრინავენ, ამ პროექტისთვის სწორედ ქუთაისი შეარჩია. სპეციალური ჩარტერით აბუ დაბიდან ჩვენს აეროპორტში 200-მდე ბლოგერი და ინფლუენსერი ჩამოფრინდა, რომელთა ჯამური გამომწერების რაოდენობა დაახლოებით 30 მილიონი ადამიანია. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად მოვიცვათ ახლო აღმოსავლეთის ბაზარი, რაც სრულიად ახალი მიმართულებაა ქუთაისისთვის და მთლიანად იმერეთის რეგიონისთვის“, - აცხადებს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნანა ბარამიძე.

პროექტის საქართველოში განხორციელების ინიციატივა საქართველოს ავიაბაზრის ლიდერს - ავიაკომპანია Wizz Air-ს და მის შვილობილ კომპანია Wizz Air Abu Dhabi-ის ეკუთვნის.

ანკა ჩხიკვაძე

# ბათუმში ოპოზიციის აქცია-პერფორმანსი გაიმართა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ევროპის მოედანზე „ანტიკორუფციულმა მოძრაობამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აქცია-პერფორმანსი გამართეს. მათ ბიძინა ივანიშვილისთვის და რამდენიმე ქართველი ბიზნესმენისთვის სანქციების დაწესება მოითხოვეს. როგორც ისინი აცხადებენ, ამ ფორმით ბათუმში „ალტ-ინფოს“ მიერ ნაგვის ურნებზე ზელენსკის ფოტოების გაკვრა გააპროტესტეს***

- ჩვენი აქცია-პერფორმანსი გამოხმაურებაა 2 დღის წინანდელი ქმედებისა, რომელიც „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულმა პირმა განახორციელა, კერძოდ, უკრაინის პრეზიდენტის ფოტოები გააკრა ნაგვის ურნებზე. სამი დღის წინ კი „ქართული ოცნება“ და „ალტ-ინფო“ წინააღმდეგ წავიდნენ, ბათუმში უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარებულიყო, თუმცა სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ჩართულობით, ღონისძიება მაინც შედგა და ამან გააღიზიანა სწორედ ისინი. ამ ყველაფრის თავი კი ბიძინა ივანიშვილია თავისი რუსული პოლიტიკით, რომელიც ხელ-ფეხს უხსნის რუსეთუმე უმცირეს ნაწილს, მსგავსი სამარცხვინო ქმედებები ჩაიდინონ. ამიტომ, რუსული პოლიტიკა საბოლოოდ რომ დასრულდეს ჩვენს ქვეყანაში, აუცილებლად უნდა მოხდეს სანქცირება ივანიშვილისა და ასევე იმ მაღალჩინოსნებისა, რომლებიც მას ზურგს უმაგრებენ! - განაცხადა ანტიკორუფციული მოძრაობის წარმომადგენელმა ლევან გორგილაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე განმარტავს, რომ „ქართული ოცნება“ ემიჯნება ყოველგვარ დესტრუქციულ, პროვოკაციულ ქმედებებს და დაჯგუფებებს.

- „ქართული ოცნება“ სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, უკრაინელ ხალხს და ულოცავს დამოუკიდებლობის დღეს! „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირი მეთოდით ცდილობს, პროვოცირება მოახდინოს და დაძაბოს ურთიერთობა საქართველოს და უკრაინას შორის. სწორედ დესტრუქციაა ის, რასაც ისინი ამ პერიოდის განმავლობაში ახორციელებენ, ეს იქნება მოწოდებები, ტურისტების მიმართ აგრესიული ქმედებები თუ ა.შ. რაც შეეხება „ალტ-ინფოს“, არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი არ გააჩნია „ქართულ ოცნებას“ ამ დაჯგუფებასთან. უფრო მეტიც, სამარცხვინოა, როდესაც ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია და გაურკვეველი ადამიანების ჯგუფი ცდილობს რუსეთს „დითირამბები“ უმღეროს. მშვიდობას ვუსურვებთ უკრაინელ ხალხს! - გვითხრა ტიტე აროშიძემ.

# საქართველოში ვაშლის კრეფის სეზონი იწყება



როგორც EastFruit-ი წერს, ბაზარზე წელს ახალი საექსპორტო ჯიში - „გალა“ გამოჩნდა. ამჟამად პროდუქტის საბითუმო ფასი კილოგრამზე 2 ლარს შეადგენს, თუმცა დღეისთვის ვაშლის ამ სახეობის მოსავალი არასაკმარისია. ადგილობრივი წყაროების ცნობით, მასობრივი კრეფა 5 სექტემბრიდან დაიწყება. მშრალი ამინდის გამო, ვაშლს ცოტა დრო სჭირდება ფერის მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ ამ სეზონზე საქართველოში ვაშლის რეკორდულად მაღალი წარმოებაა მოსალოდნელი. შეფასებები 130 000-დან 150 000 ტონამდე მერყეობს, რაც გაორმაგებულ რაოდენობას წარმოადგენს წინა სეზონის მოცულობასთან შედარებით და შარშანდელ რეკორდს 50-70%-ით აღემატება. მიწოდების ასეთი დიდი ზრდის გამო, სავარაუდოდ, ექსპორტი გადამწყვეტი იქნება ვაშლის ფასებისთვის. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნა ვერ აანაზღაურებს მიწოდების ასეთ ზრდას და ვერ უზრუნველყოფს მაღალ ფასებს. რაც შეეხება გარე მოთხოვნისა და ექსპორტის მდგომარეობას, ის ჯერ კიდევ არ არის ნათელი, ამიტომაც ფერმერებს შესაძლო ფასებზე საუბარი ჯერჯერობით უჭირთ.

ამირან გურიელიძე

# აჭარა - „ევრონიუსზე“

აჭარის ტურისტული შესაძლებლობების რეკლამირება გრძელდება.

ამჯერად, რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლები გავლენიანი ტელეკომპანია „ევრონიუსის“ ეთერში ტრიალებს და რეგიონის მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებს მსოფლიოს 160 ქვეყანაში „ევრონიუსის“ მილიონობით მაყურებელი ეცნობა. გარდა სატელევიზიო რეკლამისა, „ევრონიუსის“ გადამღები ჯგუფი აჭარის შესახებ სიუჟეტს მოამზადებს, რომელიც გადაცემა „FOCUS“-ის ეთერში სექტემბერში გავა.

გარდა ამისა, აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლები პოლონეთის წამყვან კინოთეატრებში 2 მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა. პოლონეთის უმსხვილესი კინოდარბაზების ქსელში - „მულტიკინო,“ რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების ამსახველი რგოლები 5 ქალაქის 132 ეკრანზე გადიოდა.

აჭარის მარკეტინგული კამპანია ამერიკული გიგანტი კორპორაციის - „მარველის“ საპრემიერო ჩვენებების დროს მიმდინარეობდა.

დღემდე აჭარის სამთო და საზღვაო ტურისტული შესაძლებლობების რეკლამა აქტიურად მიმდინარეობს სამიზნე ქვეყნებში, რომელთა შორისაა: პოლონეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, ლატვია, ისრაელი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით, რეგიონი მასპინძლობს წამყვანი მედიისა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს სამიზნე ქვეყნებიდან, რომლებიც აჭარის შესახებ სტატიებს, სიუჟეტებსა და ბლოგებს აქვეყნებენ“.

ანკა ჩხიკვაძე

# საქართველოს ცნობადობისთვის

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პოპულარული პორტუგალიური გამოცემის **„Diario de Noticias“**-ის ერთ-ერთ რედაქტორს ლეონიდიუ პაულუ ფერეირას მასპინძლობს. იგი საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ყოველდღიური მაღალრეიტინგული გამოცემისთვის რამდენიმე სტატიას მოამზადებს.

პრესტურის ფარგლებში **„Diario de Noticias“**-ის რედაქტორმა



უკვე დაათვალიერა თბილისი, ეწვია ღვინის მუზეუმს, მცხეთას, წინანდალს, ნაფარეულს, სიღნაღს, უფლისციხეს... ამ დღეებში ლეონიდიუ პაულუ ფერეირა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე თეთრას მღვიმეს, პალიასტომის ტბას და ბათუმს მოინახულებს.

**„Diario de Noticias“**-ის რედაქტორი პორტუგალიელ მკითხველს ქართულ კულტურას, ღვინოს, კულინარიას, საზღვაო კურორტებსა და ბუნებას გააცნობს. პრესტურის მონაწილეთა შერჩევის პროცესში ჩართული იყო პორტუგალიაში საქართველოს საელჩო.

ტურის მიზანი პორტუგალიაში საქართველოს ცნობადობის ამაღლება და პორტუგალიიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების მოზიდვაა.

ანკა ჩხიკვაძე

# 2024 წლის არჩევნები, შესაძლოა, ნაწილობრივ ელექტრონულად ჩატარდეს

*პოლიტიკური პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯის საერთო რაოდენობა ნახევრდება და თითოეულ პარტიას წელიწადში 30 მილიონ ლარზე მეტის დახარჯვის შესაძლებლობა არ ექნება, - ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთია იმ საკითხებიდან, რომლებზეც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებული საარჩევნო კანონმდებლობის რევიზიის სამუშაო ჯგუფი უკვე შეთანხმდა. შეხვედრას ფრაქცია „ქართული ოცნების“ და პოლიტიკური ჯგუფების - „მოქალაქეების“, „გირჩის“ და „ევროპელი სოციალისტების“ წევრები, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ*



ჯგუფის ხელმძღვანელის გივი მიქანაძის განცხადებით, შეხვედრაზე ის რეკომენდაციები და წინადადებები განიხილეს, რომლებიც ჯგუფის წევრებმა სამსჯელოდ მიიჩნიეს. პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება 13 პუნქტზე შედგა და თითოეულ მათგანზე შესაბამისი კანონპროექტები მომზადდება, ხოლო ორ საკითხს, მათ შორის, ელექტრონული საარჩევნო სისტემის შემოღებაზე მსჯელობას 15 სექტემბრის სხდომაზე მიუბრუნდებიან.

საკითხები, რომლებზეც ჯგუფის წევრები შეჯერდნენ, შეეხებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად შერჩევაზე დაწესებულ შეზღუდვას, საუბნო საარჩევნო კომისიის თანამდებობის პირების და პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების სერტიფიცირებას, ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენებისთვის დაწესებული ჯარიმის გაორმაგებას, საარჩევნო უბნების შედეგების გასაჩივრებისთვის დაწესებული ვადის გაზრდას და გადათვლის პროცედურებს. რაც შეეხება ელექტრონული საარჩევნო სისტემის შემოღებას, გივი მიქანაძის თქმით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა დაადასტურეს აღნიშნული სისტემის ქვეყანაში დანერგვის და პილოტური რეჟიმიდან მასზე სრულად გადასვლის სურვილი. მისივე განცხადებით, მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა ამ პროცესისადმი ღიაობა განაცხადეს.

- აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობა მიმდინარეობს და პროცესის დეტალური შესწავლა ხდება. პარალელურად, მთავრობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა შესაბამისი ფინანსური რესურსის მობილიზება და აპარატურის შეძენა მოხდეს. ჩვენი მხრიდან გაცხადდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო პოზიცია შემდეგ სამუშაო შეხვედრაზე დაფიქსირდება, - განაცხადა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა.




გივი მიქანაძემ თვითმმართველობის არჩევნების საკითხებზეც ისაუბრა და არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის შემთხვევაში მოქმედი მერის უფლებამოსილების შეჩერებაზე ჯგუფის წევრებს შორის მიღებული შეთანხმება გაახმოვანა. მისივე ინფორმაციით, ცვლილებები პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯის საერთო რაოდენობის შემცირებასაც შეეხება და დღეს მოქმედი მშპ-ის 0.1%, რაც დაახლოებით 60 მლნ ლარია, 0.05%-მდე განახევრდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერ ლევან იოსელიანის განცხადებით, მისი თანაგუნდელებისთვის საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიმართულებით ორი საკითხია პრინციპული - არჩევნების ელექტრონულად ჩატარების არეალის გაზრდა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნისთვის კვორუმის 2/3-მდე გაზრდა ოპოზიციის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ელექტრონული სისტემის ქვეყნის თუნდაც მესამედში დანერგვა მანიპულაციებს დააზღვევს, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნისთვის კვორუმის აწევა კი კონსენსუსსა და ოპოზიციის ჩართულობას უზრუნველყოფს.

- ჩვენ ორი საკითხი დავაყენეთ ამ შეხვედრაზე, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია. პირველი უკავშირდება მომდევნო არჩევნების ელექტრონულად ჩატარების არეალის გაზრდას. გვინდა, რომ შემდგომ არჩევნებში კიდევ უფრო მეტად იყოს გამოყენებული ელექტრონული ხმის მთვლელი მანქანები. ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს მესამედში მაინც ან ნახევარში მოხდეს ასეთი ცვლილების დანერგვა, რათა 20 წუთის ან ნახევარი საათის შემდეგ ვიცოდეთ შედეგები. კარგი გამოცდილება არსებობს ბათუმში ჩატარებული არჩევნებიდან გამომდინარე. ეს აზღვევს ნებისმიერი ტიპის პროვოკაციას, მანიპულაციას. ამიტომ, რაც უფრო მეტ უბანზე იქნება ელექტრონული ხმის მთვლელი მანქანები გამოყენებული, ეს ბევრად გააუმჯობესებს არჩევნების ჩატარების სტანდარტს საქართველოში. მეორე საკითხი შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნას - დღევანდელი რეგულაციით შესაძლებელია, ოპოზიციის ჩართვის გარეშე, უბრალო უმრავლესობით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილება და საოლქო საარჩევნო კომისიაში საკუთარი წევრები დანიშნოს. ვთვლით, რომ ოპოზიციის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ვითხოვთ, რომ კვორუმი აიწიოს 2/3-მდე, რომ ოპოზიციის გარეშე საოლქო საარჩევნო კომისიაში წევრის დანიშვნა იყოს შეუძლებელი. ეს, ერთი მხრივ, იქნება შესაძლებლობა, რომ კონსენსუსის გზით მოხდეს წევრის დანიშვნა და, მეორე მხრივ, ოპოზიციის ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი, - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, პარტია „მოქალაქეების“ დეპუტატმა ლევან იოსელიანმა. მისივე თქმით, ქვეყნის გარკვეულ ნაწილში 2024 წლის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების საკითხზე „ქართული ოცნება“ გარკვეულ მზაობას გამოხატავს.

- მე იმედი მაქვს, საკითხი, რომელსაც ჩვენ ძალიან აქტიურად ვაყენებთ, რომ მომავალი არჩევნები საქართველოს უდიდეს ნაწილზე ელექტრონულად ჩატარდეს, გაზიარებული იქნება და ამ მიმართულებით დავინახე, რომ მათ რაღაც მზაობა აქვთ. მიმაჩნია, რომ ეს სამომავლოდ საქართველოში არჩევნების ჩატარების სტანდარტს პრინციპულად შეცვლის, - განაცხადა იოსელიანმა.

საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის საკითხზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობდა ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი. როგორც მან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, თუ 2024 წლისთვის შესაბამისი მზაობა და ფინანსები იქნება, საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია, დაახლოებით 1200 საარჩევნო უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიები დანერგოს.

- საერთაშორისო კარგი პრაქტიკა აჩვენებს, რომ, მათ შორის, წამყვან ქვეყნებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა ტექნოლოგიების დანერგვა. ჩვენ ამის გამოცდილება 2018 წლიდან გვაქვს. გასულ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მასშტაბი კრწანისის მთელ ოლქში, ასევე ბათუმის შუალედურ არჩევნებზე ორკომპონენტიანი ტექნოლოგიური ინტერვენცია იყო გამოყენებული საარჩევნო პროცესში. საარჩევნო ადმინისტრაციას დღეს შეუძლია ის, რომ 2024 წლისთვის თუ შესაბამისი მზაობა და ფინანსები იქნება, დაახლოებით 1200 საარჩევნო უბანზე უზრუნველვყოთ არჩევნების ადმინისტრირება ტექნოლოგიური ინტერვენციის მეშვეობით. ჩვენმა დაკვირვებამ და პილოტის მიგნებებმა ცხადყო, რომ ამ ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით (საუბარია ხმის მიცემისა და ხმების მთვლელ აპარატებზე, ამომრჩეველთა რეგისტრაციის გამოყენებაზე), მათ შეუძლიათ, გადააზღვიონ მთელი რიგი საკითხები, რაც არის მანიპულაცია ამომრჩეველთა სიებზე და არის დამატებითი მექანიზმი იმისთვის, რომ ამ საკითხით მანიპულაცია დასრულდეს. ასევე, წინასწარი მონაცემები იქნება ცნობილი ძალიან მოკლე ვადაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ადამიანური შეცდომები. ფაქტობრივად, 100%-იანი სიზუსტით იქნება შედგენილი შემაჯამებელი ოქმები კენჭისყრის დასრულებიდან რამდენიმე წუთში. რაც მთავარია, იქნება პროცედურების გამარტივება, საარჩევნო უბანზე სტრესის მოხსნა, ადამიანური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა. ეს არის მთელი რიგი სიკეთეები, - განაცხადა გიორგი კალანდარიშვილმა. მისივე თქმით, სენაკის მუნიციპალიტეტის სამივე საარჩევნო უბანზე გამოიყენებენ ორივე ტიპის ტექნოლოგიურ საშუალებებს.

სამუშაო შეხვედრას პროდუქტიული და ნაყოფიერი უწოდა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა რატი იონათამიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ფაქტობრივად, ყველა იმ საკითხზე, რომელიც რეკომენდაციებითაა მოცემული, არის თანხმობა. ამასთან, დასმული იყო ისეთი საკითხებიც, რომლებიც არ ეხება არც ეუთო/ოდირის და არც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

- ცხადია, კოლეგებმა დააყენეს ისეთი საკითხებიც, რომლებიც თითქოსდა ეხება საარჩევნო გარემოს, მაგრამ არ ეხება არც ეუთო/ოდირის და არც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. შესაბამისად, ამ კონკრეტულ სამუშაო ჯგუფში ვერ ვხედავ მსგავსი საკითხების განხილვის მიზანშეწონილობას. თუ ვინმე ამ მოცემულობას აკრიტიკებს, პირველ რიგში, იმ დამოკიდებულებას უნდა გავუსვათ ხაზი, რა დამოკიდებულება გვაქვს ამ სამუშაო ჯგუფთან დაკავშირებით - ჩვენი მიზანია ეუთო/ოდირის რეკომენდაციებზე მუშაობა, თუ ახალი საკითხების შემოტანა დღის წესრიგში, რომელიც სხვა სამუშაო ფორმატებში შეგვიძლია განვიხილოთ, - განაცხადა დეპუტატმა. მისივე თქმით, სამოქალაქო სექტორისა თუ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებისგან არავის წარმოუდგენია წინადადება შშმ ამომრჩევლისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, რაც რეკომენდაციებში იყო გათვალისწინებული.

- გამიკვირდა, რომ ამასთან დაკავშირებით არცერთმა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელმა ორგანიზაციამ და არც საპარლამენტო პარტიამ არანაირი წინადადება არ წარმოადგინა. ჩვენ გვაქვს იდეა, თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ სხვადასხვა კატეგორიის და საჭიროების შშმ პირებისათვის ადაპტირებულ ფორმატში დაბეჭდოს და გაავრცელოს საარჩევნო მასალა. ამას მხოლოდ „ქართული ოცნება“ აკეთებს დღეს და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ სხვა პოლიტიკური პარტიებიც გაიზიარებენ ამ ვალდებულებას, - განაცხადა იონათამიშვილმა.

სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა პარლამენტში სექტემბრისთვის ჩაინიშნა.

## უცხოეთი

ფინეთისა და შვედეთის ოფიციალურმა პირებმა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით თურქ კოლეგასთან შეხვედრა გამართეს. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეკა ჰაავისტოს განცხადებით, ოფიციალურ პირებს შორის პირველი შეხვედრა მიზნად ისახავს კონტაქტების დამყარებას და თანამშრომლობის მიზნების დასახვას, რაზეც სამივე ქვეყანა ივნისის ბოლოს შეთანხმდა. კერძოდ, 28 ივნისს თურქეთისა და ფინეთის პრეზიდენტების, შვედეთის პრემიერ-მინისტრისა და ნატოს გენერალური მდივნის თანდასწრებით ხელი მოეწერა სამმხრივ მემორანდუმს, რომლის ფარგლებში, ფინეთმა და შვედეთმა, როგორც ნატოს მომავალმა მოკავშირეებმა, პირობა დადეს, რომ სრულად დაუჭერენ მხარს თურქეთს მისი ყველა საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში და აიღეს ვალდებულებები, რომლებზეც ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების შესახებ თურქეთის დადებითი პასუხია დამოკიდებული.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთის შეიარაღებული ძალების საშტატო რიცხოვნობის 137 000 სამხედრო მოსამსახურით გაზრდის შესახებ. „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 2 039 758 ერთეულის ოდენობით, მათ შორის, 1 150 628 სამხედრო მოსამსახურით“, - ნათქვამია პუტინის ახალ განკარგულებაში. 2017 წლის 17 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, რუსეთის ჯარი შედგებოდა 1 902 758 ჯარისკაცისა და ოფიცრისგან, რომელთა შორის 1 013 628 სამხედრო მოსამსახურე იყო. 2022 წელს, უკრაინაში სრულმასშტაბიან შეჭრამდე, რუსეთს აქტიურ სამხედრო სამსახურში სულ 850 000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნომინალურ ძალას - 1 მილიონზე მეტ ადამიანს.

* * *

გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცის განცხადებით, მისი ქვეყანა უკრაინას არ მისცემს ისეთ იარაღს, რომლის საშუალებითაც რუსეთის ტერიტორიაზე შეტევის განხორციელება იქნება შესაძლებელი. „აშშ-ის პრეზიდენტმა საკმაოდ მკაფიოდ თქვა, რომ არ მიაწოდებდა იარაღს, რომლითაც რუსეთის ტერიტორიის დაბომბვაა შესაძლებელი. მიმაჩნია, რომ ეს პრინციპია, რომელსაც ყველა ვეთანხმებით“, - აღნიშნა შოლცმა. მისივე თქმით, გერმანიის მიზანია, ხელი შეუშალოს პუტინს ომის მოგებაში, რათა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება მოხდეს. ამასთან, შოლცის განცხადებით, გერმანია მოიქცევა ისე, რომ უკრაინა-რუსეთის ომი „სრულიად განსხვავებულ ომში“ არ გადაიზარდოს.

* * *

რომის პაპი ფრანცისკე ალექსეი დუგინის ქალიშვილის დარია დუგინას მკვლელობას გამოეხმაურა და მას „ომის უდანაშაულო მსხვერპლი“ უწოდა, რის გამოც ვატიკანის ნუნციო უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს. „გაუგებარია პაპ ფრანცისკეს გადაწყვეტილება, რუსეთის მოქალაქის რუსეთის ტერიტორიაზე სიკვდილი მოეხსენიებინა რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, რომელთანაც უკრაინას არავითარი კავშირი არ აქვს“, - განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ. რუსი იდეოლოგის ქალიშვილი 20 აგვისტოს მოსკოვში, საკუთარ ავტომობილში ააფეთქეს.

**გვერდი მოამზადა
ია შველიძემ**

# „ამ რესტორანში შემოსვლით თქვენ ეთანხმებით, რომ რუსეთი ოკუპანტია“

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**



***„პატრიოტი ადამიანი ვარ. ჩემს გულში მუდამ იგიზგიზებს ალი პატრიოტიზმისა, რომელსაც აღვივებს საქართველოსადმი უხილავი სიმებით დაკავშირებული სიყვარული, ეს სიმები კი არ გაწყდება“, - ამბობს ნინო ნიჟარაძე, რომელიც რესტორან „ნიჟას“ დამფუძნებელია. ჩვენი დღევანდელი სტუმარი გამოეხმაურა მათი ტურისტების მიერ სოციალურ ქსელში გამოხატულ უკმაყოფილებას. მათი გულისწყრომა კი იმან გამოიწვია, რომ ქობულეთში რესტორან „ნიჟაში“ მისულებს კარზე დახვდათ აბრა „ამ რესტორანში შემოსვლით თქვენ ეთანხმებით, რომ რუსეთი ოკუპანტია“, ხოლო კედლებზე წარწერა: „რუსეთი ოკუპანტია, პუტინი კი ომის დამნაშავე“. რუს ტურისტებსა და ქობულეთში არსებულ ვითარებაზე ნინო ნიჟარაძე გვესაუბრება***

- მე და ჩემმა მეუღლემ რესტორანი 2019 წლის აგვისტოში გავხსენით. გახსნის დღიდან WI-FI-ის სახელია „აფხაზია იზ ჯორჯია“, ხოლო პაროლი - „სამაჩაბლო იზ ჯორჯია“. ამის გამო სოციალურ ქსელში მაშინვე დიდი ხმაური ატყდა. მერე იყო პანდემია, რესტორნის დახურვა, გახსნა...

ქობულეთში ყოველთვის ბევრი რუსი ტურისტია, შესაბამისად, კვების ობიექტები მათზეა ორიენტირებული. ჩვენ ამ სეგმენტზე თავიდანვე არ გვქონდა გათვლა, რუსული მენიუც კი არ ჩავუშვით, მეტიც, ქართულ მენიუზე დავაწერეთ, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% რუსებს აქვთ ოკუპირებული. მე და ჩემს მეუღლეს რუსული საოკუპაციო რეჟიმისადმი ყოველთვის კრიტიკული დამოკიდებულება გვქონდა. ადგილობრივები გვეუბნებოდნენ, ასე ვერ იმუშავებთო, მაგრამ პირიქითაა - რუსები ყველაზე დაბალი გადახდისუნარიანი ტურისტები არიან. რაღაცნაირი, მომხმარებლური დამოკიდებულება აქვთ ჩვენ მიმართ, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მიიღონ და ცოტა დატოვონ, მოსამსახურეებად აღგვიქვამენ. ეს ყველამ იცის, ვინც ტურისტულ ბიზნესში მუშაობს. რუსებისადმი ჩვენს კრიტიკულ განწყობასაც რომ თავი დავანებოთ, მერკანტილური გათვლებითაც არ არის რუსი ტურისტი საინტერესო. რაც შეეხება ქართველ და მაღალბიუჯეტიანი ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებს, მათ ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. ქართველები როგორც კი ვაიფაის სახელისა და პაროლის შესახებ შეიტყობენ, მაშინვე ჩვენთან მოდიან, კერძებითა და მომსახურებითაც კმაყოფილნი არიან. ძალიან მოსწონთ გემრიელი კერძები და ორიგინალური გარემო. უცხოელი ტურისტები ხშირად გვეკითხებიან, რა დატვირთვა აქვს Wi-Fi-ის სახელსა და პაროლს და ყველაფერს ვუყვებით რუსული ოკუპაციის შესახებ. უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღეებში გამოვფინეთ უკრაინის დროშა...

**- როგორია რუსების რეაქცია, როდესაც თქვენი რესტორნის გარემოს ნახავენ?**

- ძალიან ბევრი შემოდის და თავის ამორალურ სახეს ბოლომდე გვაჩვენებს. შემოდიან, ჭამენ, სვამენ, იღებენ ყველა მომსახურებას, მათ შორის, სარგებლობენ Wi-Fi-ით, ანუ საკუთარი ხელით წერენ, რომ აფხაზეთი საქართველოა, სამაჩაბლო საქართველოა, მერე მიდიან და კრიტიკულ და შეურაცხმყოფელ პოსტებს გვიძღვნიან სოციალურ ქსელში. სადაც ახერხებენ, ჩვენს ბანერებს ხევენ. იქ, სადაც კამერები გვაქვს, ვერ ბედავენ, მაგრამ საპირფარეშოშიც კამერას ხომ ვერ დავამონტაჟებთ? სამართლიანობისთვის რომ ვთქვა, ერთმა რუსმა ტურისტმა სოცქსელში დაწერა, ასეთი გემრიელი ხინკალი არასდროს მიჭამიაო, მაგრამ იქვე გაგვკრიტიკა იმის გამო, რომ რუსეთს ოკუპანტად, პუტინს კი სამხედრო დამნაშავედ მივიჩნევთ. დარბაზში ეკრანები გვაქვს, სადაც ადრე საქართველოს ბუნების ამსახველი ვიდეორგოლები გადიოდა. ახლა ეს რუსული ოკუპაციის ამსახველმა და უკრაინის მხარდამჭერმა სლაიდებმა შეცვალა. ჩვენმა მეგობარმა გიდმა საინტერესო იდეა მოგვაწოდა - მისი რჩევით კედლებზე ჩამოვკიდეთ რუსულ ენაზე დაბეჭდილი სტიკერები, სადაც ჩამოწერილია ყველა ის ქვეყანა, სადაც რუსეთმა სისხლის გუბეები დააყენა, თანაც ყველაფერი დათარიღებულია. სხვათა შორის, სირია გამოგვრჩა და ბევრმა შენიშნა. ამიტომ ამასაც ჩავამატებთ. ვერაფრით შევაფერხეთ რუსები, უკრაინის დროშა გადმოვფინეთ, მაგრამ მაინც შემოვიდნენ, ვერც კედლებზე გამოკრულმა ბანერებმა და სტიკერებმა შეაფერხა. ბოლოს პირდაპირ შემოსასვლელ კარზე გავაკარით, რესტორანში შემოსვლით აღიარებენ, რომ რუსეთი ოკუპანტი და მკვლელია. მაინც შემოდიან... ეს მათ თავხედობასა და უტიფრობაზე მეტყველებს. ჩვენც შევნიშნეთ და შემდეგ ჩვენი პოზიციის მქონე რესტორატორებმაც გვითხრეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების პირველ ეტაპზე მორიდებულად იქცეოდნენ, თითქოს უხერხულობას გრძნობდნენ, მაგრამ ბოლო დროს ძალიან „გაშალეს ფრთები“, ძველებურად უტიფრები გახდნენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ განიცდიან, რომ რუსული იმპერიალიზმი ბავშვებსაც კი არ ინდობს, აწამებს და ხოცავს მათ.

**- როგორც გავიგე, უკრაინელებს დიდი დახმარება აღმოუჩინეთ ჰუმანიტარული ტვირთით.**

> ***„ გახსნის დღიდან WI-FI-ის სახელია „აფხაზია იზ ჯორჯია“, ხოლო პაროლი - „სამაჩაბლო იზ ჯორჯია“. ამის გამო სოციალურ ქსელში მაშინვე დიდი ხმაური ატყდა. მერე იყო პანდემია, რესტორნის დახურვა, გახსნა...***

- ომის დაწყებიდან ორ-სამ დღეში გავიგე, რომ სამედიცინო სექტორს მედიკამენტების დეფიციტი ჰქონდა. ომის სირთულე, როგორც ექიმმა, 2008 წელს გამოვცადე. მაშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი. აგვისტოს ომი სულ რაღაც ხუთ დღეს გაგრძელდა და ექიმებმა მაინც მძიმე დღეები გავიარეთ. წარმოიდგინეთ, რას განიცდიან და რა დღეში არიან უკრაინელი ექიმები? ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ მათთვის მედიკამენტები მიმეწოდებინა. საქართველოში უკრაინის წარმომადგენლის ნომერი მომცეს, რომელმაც დამაკვალიანა. იმდენად დიდი თანხა მოგროვდა, რომ გამიკვირდა - 40.000 ლარს ასცდა. ჩვენი ტვირთი საქართველოს ხელისუფლების სახელით გაიგზავნა და არა ქართველი ხალხის. შემდგომ ჩვენ თავად დავასტიკერეთ ყუთები, რომ ეს იყო ქართველი ხალხისგან. საკმაოდ დიდი ტვირთი გავგზავნეთ ხარკოვში საველე ჰოსპიტლისთვის. ვიცოდით, რომ მოხალისეებს, რომლებსაც სამედიცინო ტვირთი გადაჰქონდათ, პირდაპირ მანქანებში ცხრილავდნენ და მედიკამენტების ყუთებს ანადგურებდნენ. ამიტომ, თითოეული მედიკამენტი ისე შევფუთეთ, რომ პირდაპირ ჩაეყარათ მანქანებში, სკამების ქვეშ. ჯამში 115 ათასი ლარის მედიკამენტები გავგზავნეთ. სხვათა შორის, დავეხმარეთ უკრაინაში მცხოვრებ ქართველ ასაკოვან მამაკაცსაც, რომლის ქალიშვილები ევროპაში გახიზნულან, სიძეები კი იბრძოდნენ. მისმა აქაურმა ნათესავმა გვითხრა, რომ ეტლს ყოფილა მიჯაჭვული, თავშესაფარშიც კი ვერ ჩადიოდა დაბომბვის დროს და არც წამლები ჰქონია. უკრაინელ მოხალისეებს ვთხოვეთ და დიდი რისკის ფასად მიუტანეს ქართველ მოხუცს წამლები.

ჩემი შვილები ისევე გულშემატკივრობენ უკრაინელებს, როგორც მე. ძალიან დიდი პროტესტი მაქვს, როდესაც მესმის რიტორიკული კითხვა: „აბა, ომი გინდათ?“ - ომი ვის უნდა, რომელ ჭკუათამყოფელს! ომი რომ არ გვინდა, იმიტომაც არ მინდა რუსებთან თანაცხოვრება. მათ გვერდით მშვიდად ცხოვრება შეუძლებელია, არ ვიცით, როდის რა მოუვლით იმპერიალისტური იდეებით შეპყრობილ თავებში, როდის დაგვესხმიან თავს თავიანთი მოქალაქეების „გათავისუფლების“ სახელით!. ჩვენ ვმუშაობთ, ვწვალობთ, რომ შვილებს კარგი, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი მომავალი ჰქონდეთ, მშვიდი დღეები გაუთენდეთ.

# ნინოს პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

***„ნინოს მშრალი ხილი“ - ასე ჰქვია ახალგაზრდა მეწარმე ნინო გაბრიაძის პროდუქციას, რომლის დამზადებაც რამდენიმე წლის წინ საკუთარ სახლში დაიწყო. 36 წლის მეწარმე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში ოჯახთან ერთად ცხოვრობს.***
წარმოშობით გორიდანაა. სამი შვილის დედა ოჯახსა და ბიზნესს იდეალურად უთავსებს ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც 2017 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კენკროვანი ბაღების გაშენების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას შეეძლო სრულიად უსასყიდლოდ კენკროვანი კულტურა თავიანთ ეზოებში გაეშენებინა, ნინოს გაუჩნდა კენკროვანი ხილის წარმოების იდეა. როგორც იგი გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში ამბობს, ასევე რამდენიმე პროექტში მიიღო მონაწილეობა: ფერმერთა ასოციაციისა და ემპარდის პროექტებში, სადაც ბიზნესგეგმის დაწერაც შეისწავლა. ამბობს, რომ სხვადასხვა თემატურმა ტრენინგმა მისი ბიზნესის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა და ნინოს წარმატების მიღწევაში ძალიან დაეხმარა.

- საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ჩაგვიტარა ტრენინგები. ბიზნესგეგმის წერასთან დაკავშირებითაც გავიარე ბევრი საინფორმაციო შეხვედრა. ახალშენში, სადაც მე ვცხოვრობ, არის ორგანიზაცია „ამაგი“, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად - აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება. ასეთი ორგანიზაცია რამდენიმეა აჭარაში, მე ერთ-ერთი მათგანის თავმჯდომარე ვარ. ჩვენს ამაგს ჰქვია „ახალშენი“, სადაც 12 წევრი ვმუშაობთ. სწორედ ამაგის სახელით შევიტანე პროექტი მანდარინის ჩიფსის სახელწოდებით. გავიმარჯვე და სპეციალური დანადგარიც გადმომცეს. მას შემდეგ ვაწარმოებ ჩირებს. აჭარაში სინესტე და სინოტივე მეტია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ამიტომ ჩირის გაკეთება სპეციალური დანადგარის გარეშე შეუძლებელია, - გვიამბობს მეწარმე. მისი პირველი გრანტი, რომელიც კენკროვანი ხილის გაშენებას ეხებოდა, 100%-ით დაფინანსდა. შემდეგ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ითვალისწინებდა, რის შედეგადაც მეწარმე ფონდმა „ტასომ“ დააფინანსა. მისი მეშვეობით კენკროვანის პლანტაცია შემოღობა, „ემპარდის“ გრანტის ფარგლებში კი ხილის საშრობი და საწარმოში არსებული სხვადასხვა დანადგარი გადასცეს. კენკრა არ იყო აჭარაში დიდად გავრცელებული და უნდოდა, რომ ჟოლო და გოჯი მრავლად ეწარმოებინა. ახლა ნერგები თავად გამოჰყავს და მოსახლეობასაც



ეხმარება მის გამრავლებაში. მუშაობს მხოლოდ ბიოტექნოლოგიებით და არ იყენებს ქიმიურ წამლებს. მისი თქმით, ბალახსაც ხელით ჭრიან.

- გავიარე ბევრი ტრენინგი ციტრუსის შესახებ, მოვიძიე უამრავი ინფორმაცია, მინდოდა როგორც საკუთარ თავს, ასევე ადგილობრივებსაც დავხმარებოდი არასტანდარტული ხილის რეალიზებაში. სრულიად უსახსროდ დავიწყე ეს ბიზნესი. გავაშენე ულამაზესი პლანტაცია და ბევრს მოეწონა. თავიდან რისკიც იყო და ადგილიც არ მქონდა ამისათვის, ნერგებსაც ამის გამო არ მაძლევდნენ. მერე გავათავისუფლეთ ადგილი. მინდოდა გოჯის ნერგების გამოყვანაც. ეს არის ჩინეთის კენკროვანი კულტურა. სატესტო იყო ამ ნერგების გამოყვანა, ჩინეთში სიცოცხლის ნერგსაც ეძახიან. იცავს დნმ-ს, რომელიც სიბერეს აფერხებს, ასევე 33 სახის დაავადების დროს ძალიან სასარგებლოა. ადამიანს არნახულ ენერგიას აძლევს. 2-3 მარცვლის მიღებაც საკმარისია დღეში, იმდენად დიდ ენერგიას მატებს ადამიანს. დიდი სტიმული მიეცათ ჩემ ირგვლივ მყოფებსაც. ასე დავიწყე ჩირის წარმოება. მუდმივად ვეცნობი ახალ პროექტებს. ვთხოვთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა საშუალებას და ისინიც შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან. მაგალითად, შესაწამლი აპარატები ვთხოვეთ. მეწარმეს ყოველთვის სჭირდება ხელშეწყობა. რომ არა მათი მხარდაჭერა, ძალიან გაგვიჭირდებოდა, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებშიც არის ხელშეწყობა, ასევე, ახალბედა მეწარმეებს გაეროს განვითარების ცენტრიც მნიშვნელოვნად ეხმარება. ეს დიდი მოტივაციაა ჩემთვის და მინდა გავამართლო იმედები. მანდარინის ჩიფსზე და გოჯის ჩირზე მუშაობა საკმაოდ კარგადაც მიდის, - ამბობს ნინო გაბრიაძე. მან ჩირთან და ჩიფსთან ერთად ჩურჩხელის გამოშრობა დაიწყო და სხვადასხვა ქვეყანაში მისი რეალიზება მოახდინა. ამბობს, რომ ჩურჩხელას როგორც ტრადიციული ტექნოლოგიით, ასევე არატრადიციულითაც ამზადებს. მაგალითად, ცნობილია მანდარინის წვენით დამზადებულ „ფელამუშში“ ამოვლებული ნინოს ჩურჩხელაც.

- ჩურჩხელის გამოშრობაც დავიწყე. მაქვს ჩემი ლოგოც, რომელსაც „ნინოს მშრალი ხილი“ ჰქვია. დავამატე ჩემს ხაზს მანდარინის წვენზე დამზადებული ჩურჩხელაც. ვინც კი გასინჯა, ძალიან მოეწონა, ტურისტებიც დაინტერესდნენ,- გვითხრა ახალგაზრდა მეწარმემ. ჩირის საწარმოებლად მან თავის სახლში მცირე ფართი გამოჰყო. აქვე მარწყვის, მანდარინის, ჟოლოს, გოჯის სახეობის ჩირი აწარმოა. კენკროვან კულტურებთან ერთად მეფუტკრეობასაც გეგმავს. ნინოს საკუთარი სახლის პირველი სართულის გარდა, საწარმოსთვის შენობა არ აქვს და სწორედ ამის გამო ვერ ახერხებს მომრავლებული დაინტერესებული ობიექტის მომარაგებას. ამბობს, რომ შეფუთული ნაწარმით სხვადასხვა სასტუმროსა და სასურსათო მაღაზიას ამარაგებს. მოთხოვნა გაცილებით დიდია, თუმცა ფართის სიმცირის გამო ამის შესაძლებლობა ამ ეტაპზე არ აქვს.

- ჩემი საქმიანობა საკუთარ ეზოში დავიწყე და სახლის პირველი სართულის ნაწილი დავუთმეთ იმ დანადგარებს, რომლითაც „ნინოს მშრალი ხილი“ იქმნება. თუმცა პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა, ჩურჩხელები, ჩირი, ჩიფსი - ეს ყველაფერი ცალკე საწარმოს მოითხოვს. იმედია, მალე ამასაც მივაღწევთ და მომხმარებლების მოთხოვნებს სრულად გავწვდებით. ბევრი ტურისტი მოდის. ეს მცირე საწარმო აღარ მყოფნის, მიჭირს ყველაფრის ერთად გაკეთება. ამ ეტაპზე კიდევ ორ პროექტში ვმონაწილეობ, ველოდები შედეგებს. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის და შედეგით კმაყოფილი ვიქნები.

# შთაგონების წყარო – ადამიანი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*თიკო ქლენტი თანამედროვე წარმატებული ხელოვანია, საინტერესო გრაფიკოს-ფერმწერი, რომლის ნამუშევრები ოსტატობით, თავისთავადობით, სიღრმითა და სულიერებით იპყრობს ყურადღებას. სიურრეალისტი მხატვარი თავის სათქმელს იმდენად შთამბეჭდავად, მაღალმხატვრულად გადმოსცემს, რომ შეუძლებელია გულგრილი დარჩე. არც ისაა შემთხვევითი, რომ თერთმეტმა თანამედროვე მწერალმა სწორედ თიკო აირჩია მხატვარ-ილუსტრატორად, ნიჭთან ერთად შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევა, უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, ხალხი და ემიგრაციაში ყოფნის მიუხედავად, როცა საჭიროა, თანამემამულეების გვერდითაა, მხატვრის შთაგონების წყარო ადამიანია, მიზანი კი შინაგანი სამყაროს შეცნობა და გადმოცემა. დღეს ეს საინტერესო მხატვარი გაზეთ „აჭარის" სტუმარია.*

**- საკუთარ პერსონას როგორ წარმოგვიდგენთ?**



- საკუთარ თავზე იმაზე მეტის თქმა არ შემიძლია, რასაც გადმოვცემ ფუნჯითა და ფერებით... შემოქმედებით გამოვხატავ ჩემს შინაგან სამყაროს და დამოკიდებულებას ზოგადად, სამყაროსადმი...

**- თქვენი გრაფიკული ფერწერა მრავალთა ყურადღებას იპყრობს... თავად რას იტყოდით საკუთარ ნამუშევრებზე?**

- მართალს ბრძანებთ, ჩემს მხატვრობას მრავალი თაყვანისმცემელი და შემფასებელი ჰყავს. ულრმესი მადლობა ყველას ასეთი ყურადღებისთვის. მათი ასეთი თბილი დამოკიდებულება უდიდესი სტიმულია ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის. რაც შეეხება ჩემს მხატვრობას, წინ ბევრი სამუშაოა, რათა სრულყოფილად გადმოვცე შესაძლებლობები ურთულეს გრაფიკაში.

**- რომელი მიმდინარეობა მოგწონთ და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხელოვანი ჩარჩოებისაგან თავისუფალი უნდა იყოს?**

- თანამედროვე მხატვრობა მკვეთრად განსხვავდება წინა ეპოქის მხატვრობისგან... ისინი მძაფრად მიილტვიან ახალი ტენდენციებისკენ, თვითმყოფადობისკენ, საკუთარი ხელწერის ფორმირებისკენ, რაც აუცილებელია და საინტერესო. ჩემი ნახატები, ძირითადად, აბსტრაქტული და სიურრეალისტურია. ეს მიმდინარეობა მოითხოვს დიდ შემოქმედებით წვას... აქ ვერ მოექცევი ჩარჩოებში... თუ არ ხარ ფორმების მიგნებებში თავისუფალი, შეიძლება ვერ გადმოსცე ჩანაფიქრი, იდეა. მთავარია, მიჰყვე შენს ინდივიდუალურ ხაზს და შეინარჩუნო ხელწერა...

**- რა არის თქვენი შთაგონების წყარო, ანუ როგორ მოდის თქვენთან აზრი, განცდა, რომელიც მერე ნახატში უნდა გაასულიეროთ, ფერებად და სახეებად აქციოთ?**

- ჩემი შთაგონების წყარო ადამიანი და მისი შინაგანი სამყაროს შეცნობა და გადმოცემაა. კიდევ ბუნება, რომელიც ძალიან მიყვარს, კლასიკური მუსიკა, რომელიც მიღრმავებს ხედვას და მეტ ფერს, ემოციებს ვაქსოვ ნახატებში.

> *„უცხოპლანეტელი ნამდვილად არ ვარ. აი, მესამე თვალი კი მაქვს... თუმცა ვიცი, რომ ღმერთისგან მოვლენილი ადამიანი მიწისაცა ვარ და ცისაც... ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩემი ნახატები კოსმიურია და მიწიერი... ეს ნორმალურია, ჩვენ ხომ კოსმოსის ნაწილი ვართ და ზოგჯერ მესამე თვალით თუ შევიხედავთ კოსმოსში, ეს დიდი მიგნებაა*





**- პირველი ნახატი, რომელმაც დაგარწმუნათ, რომ მოწოდებას უნდა მიჰყოლოდით, მხატვარი გამხდარიყავით.?**

- ღმერთმა ბავშვობიდანვე გამომარჩია და დამანათლა ხატვის განსაკუთრებული ნიჭი. ძალიან მიყვარდა სახატავ რვეულთან და ფერად ფანქრებთან შეხება.. ამ დროს ყველაზე ბედნიერად ვგრძნობდი თავს. მახსოვს, ბავშვებთან თამაში მალე მბეზრდებოდა, გამოვერიდებოდი, დავჯდებოდი განმარტოებით და ვხატავდი... სკოლის მოსწავლეს უკვე გაკეთებული მქონდა არჩევანი, მხატვარი უნდა გავმხდარიყავი. ისედაც ყველა მხატვარს მეძახდა.

**- თქვენი ნახატების ილუსტრაციებით არაერთი მწერლის წიგნი გამოიცა... რომელს გამოყოფდით, როცა თქვენი და ავტორის ხედვა, მოვლენების აღქმის უნარი ერთმანეთს შეერწყა?**

- თერთმეტი ავტორის კრებული გამოიცა ჩემი მხატვრული გაფორმებით. კიდევ არის უამრავი შემოთავაზება.



ვერცერთ ავტორს ვერ გამოვარჩევ, რადგან თითოეული უნიჭიერესი, თავისთავადი ხედვის და ძვირფასია ჩემთვის. გასაოცარია, ზოგჯერ ხედვის ისეთი თანხვედრა ხდება, ლექსი და ნახატი ერთნაირად ზუსტად გადმოცემს პოეტისა და მხატვრის ჩანაფიქრს...

**- ამბობენ, რომ გრაფიკული ფერწერა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რომ აქ კრეატიულობა სისავსით მჟღავნდება... თქვენი გამოცდილება ამ მხრივ...**

- გრაფიკა ურთულესი დარგია. უდიდეს, კოლოსალურ შრომას მოითხოვს, შედეგი რომ მიიღო. შედეგი ხაზების სიძლიერესა და დახვეწილობაშია... თუ არ გაქვს ძლიერი ხაზი, ვერ გადმოცემ ემოციას... თუ ხაზი ძლიერია, ერთი ან ორი ხაზითაც გადმოსცემ დიდ სათქმელს... ამიტომ ბევრს ვმუშაობ. ეს პროცესი იმდენად საინტერესოა, იმდენი ახალი მიგნებაა... ხაზებს მიჰყავხარ სიღრმეებისკენ, აღმოჩენებისკენ, დროისა და დაღლილობის შეგრძნებას კარგავ, მაგრამ ეს შემოქმედებითი წვაა და ძალიან სასიამოვნოა, ღირს ამისთვის თავგანწირვა...

**- ყველა ხელოვანი უცხოპლანეტელიაო, ამბობენ... ცხადია, სიმბოლური გააზრებით... და თქვენ თავს როგორ გრძნობთ დედამიწაზე?**

- უცხოპლანეტელი ნამდვილად არ ვარ. აი, მესამე თვალი კი მაქვს... თუმცა ვიცი, რომ ღმერთისგან მოვლენილი ადამიანი მიწისაცა ვარ და ცისაც... ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩემი ნახატები კოსმიურია და მიწიერი... ეს ნორმალურია, ჩვენ ხომ კოსმოსის ნაწილი ვართ და ზოგჯერ მესამე თვალით თუ შევიხედავთ კოსმოსში, ეს დიდი მიგნებაა.

**- აღორძინების ხანის დიდი ფერმწერების პლეადიდან ვის შეგირდობას ისურვებდით?**

- აღორძინების ანუ რენესანსის ხანის მხატვრებიდან უდიდესი გენიოსის მრავალმხრივი ნიჭით განთქმული ლეონარდო და ვინჩის მოწაფედ ყოფნას ვინატრებდი.

**- თქვენი ნახატებიდან იღვრება მუსიკა, იკითხება როგორც ლექსები, ამიტომ მართებულია გკითხოთ, ვინ არიან ის კომპოზიტორები და პოეტები, ხელოვანები, რომლებიც თქვენთან სულიერად არიან დაკავშირებულნი და შთაგაგონებენ?**

- არ შემიძლია კონკრეტულად დავასახელო რომელი კომპოზიტორი ან პოეტია ჩემი შთაგონების წყარო. შეიძლება ვუსმინო ან წავიკითხო არაერთი ავტორის ნაწარმოები და გარკვეული დროის შემდეგ გამოვსახო ნახატში... გააჩნია, როდის წამოვა გონებიდან განცდილი ემოცია...

**- „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები" - განცდა, რომელიც ამ ფრაზას ახლავს, ძვირფასია ყველა ხელოვანისთვის... რას ფიქრობთ ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე?**

- ნებისმიერ ადამიანს ევალება, იყოს პატრიოტი თავისი ქვეყნისა. სამშობლოს უნდა მიუძღვნა შენი მოღვაწეობა მთლიანად და თუ ხარ ხელოვანი, შენი შემოქმედება უნდა იყოს ზედმიწევნით ეროვნული, რათა გადმოცე შენი ქვეყნის სახე და აჩვენო სხვას... მაგრამ აქ უნდა ჩააქარგო უდიდესი სილამაზე და სიყვარული...

**- კითხვა, რომელიც ხშირად გიჩნდებათ, პასუხი კი არ გაგიციათ...**

- კითხვა, რომელზეც პასუხი არ გამიცია... ჩემი შემოქმედებით ჯერ ბევრი მაქვს შესაქმნელი, სათქმელი... ასე რომ, ყველაფერი წინაა...

# ხანძრის ძირითადი ნაწილი ლიკვიდირებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო მონაცემებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ხანძრის გავრცელების სამივე სექტორზე, ცეცხლის კერების 90% ლიკვიდირებულია, ხოლო დანარჩენ10%-ზე ხანძრის ქრობის აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს.

უწყების გუშინდელი ცნობით, პარალელურად, გრძელდება სექტორების მონიტორინგი.

„შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძემ, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის ოპერატიული მართვის შტაბს ხელმძღვანელობს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროს თემურ მღებრიშვილთან ერთად, სამუშაო თათბირი გამართა.

მინისტრის მოადგილემ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა ხანძრის გავრცელების არეალზე მიმდინარე სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოები შეაჯამეს და ადგილზე არსებული ვითარება შეაფასეს.

მეშვიდე დღეა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაჩენილ ხანძარს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ებრძვიან. ხანძრის ქრობის ღონისძიებებში ასობით მეხანძრე-მაშველთან ერთად, აქტიურად, კოორდინირებულად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ყველა ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, სასაზღვრო პოლიციის 4 ვერტმფრენი და თურქეთის რესპუბლიკის 3 სპეციალიზებული სახანძრო თვითმფრინავი.



ბორჯომის ხეობაში პრევენციის მიზნით ადგილზე კვლავ რჩებიან და აგრძელებენ სამუშაოებს, როგორც სახანძრო და სასაზღვრო ავიაცია, ასევე, მეხანძრე-მაშველები და სხვადასხვა სამინისტროს თანამშრომლები", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**

# „მოდერნა" PFIZER-სა და BIONTECH-ს უჩივის

ამერიკული კომპანია „მოდერნას" განცხადებით, Pfizer-მა და მისმა გერმანულმა პარტნიორმა BioNTech-მა კოვიდ-19-ის პირველი ვაქცინის შემუშავებაში საპატენტო უფლება დაარღვიეს.




ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ კომპანიებს შორის დავის მიზეზი mRNA ტექნოლოგიის შემუშავებაა.

მოსარჩელე მხარე ფინანსური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს, თუმცა მედიაში თანხის ოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

„მოდერნამ" სარჩელი გერმანიასა და აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატში შეიტანა.

**ამირან გურიელიძე**

# «იალონი» - სამეგრელოსა და აჭარაში

***საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსში «თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლები» «იალონმა» გაიმარჯვა. პროექტის «ანსამბლი «იალონი» - სამეგრელოსა და აჭარაში» მიზანი იყო ამ რეგიონების ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია როგორც «იალონის» მხრიდან, ისე აჭარაში არსებული ფოლკლორული და ავთენტური ანსამბლების ჩართულობით***

- ამ პროექტში შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი «ნაი» და მარეთის ხეობის ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი «მარეთი» არიან ჩართულნი. მათი ერთობლივი კონცერტი შუახევის კულტურის ცენტრის დარბაზში უნდა გამართულიყო, მაგრამ აქ მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, იგი ქედაში ჩატარდა. ამან უფრო მეტი დატვირთვა, ხალისი და აქტივობა შესძინა პროექტის ორგანიზატორი ანსამბლისა და მასთან ერთად შუახევში, ქედაში არსებული ანსამბლების გამოსვლას, - თქვა შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორმა მაია დავითაძემ.

ქედის კულტურის ცენტრში მაყურებლის წინაშე ოთხი ანსამბლი «ნაი», «მარეთი», «იაგუნდი» და «იალონი» წარსდგა. ქედელ და შუახეველ მაყურებელთან ერთად, კონცერტს უცხოელი სტუმრებიც დაესწრნენ.

- ღონისძიების ორგანიზატორებს საკონცერტო სივრცე უსასყიდლოდ დავუთმეთ. «იალონის» შემდეგ სცენაზე ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი «იაგუნდი» დადგა. ანსამბლის ყოფილი ხელმძღვანელის ია ნაგერვაძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, სამხატვრო ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ცნობილმა ლოტბარმა ლოლიტა სურმანიძემ ითავა. «იას გუნდის» წევრები მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან, რაც მათ რეპერტუარშიც გამოჩნდა, - გვითხრა ქედის კულტურის სახლის დირექტორმა ჯამბულ სურმანიძემ.

«ნაის» ჩამოყალიბებასა და რეპერტუარის მოძიებაში თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს ლოლიტა სურმანიძემ და შუახევის კულტურის ცენტრის ყოფილმა დირექტორებმა, ცნობილმა რეჟისორმა, მრავალი ფესტივალისა და საკონცერტო ღონისძიებების ორგანიზატორმა ვახტანგ ბერიძემ და მაკა მაკარაძემ. მათ დაწყებულ საქმეს ახლა წარმატებით აგრძელებს შუახეველი ლოტბარი მაია ფევაძე. «ნაიში» თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. მისი რიგები დატოვეს ინწკირვეთის გოგონათა გუნდის ხელმძღვანელმა, «ხერტლის ნადურის» მომძიებელმა, მრავალი ფესტივალის გამარჯვებულმა ნანული ჭაღალიძემ (ასაკის გამო), ნანული ბეჟანიძემ, «ხერტლის ნადურთან» ერთად «ნაის» რეპერტუარში გაჩნდა აჭარის მთიანეთის ქალთა ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ახალი სიმღერები. «ნაი» ამჯერად მაყურებლის წინაშე ახლად დამუშავებული სიმღერებით წარსდგა და ოვაციაც დაიმსახურა.

ანზორ ერქომაიშვილს, ნანა ვანიშვილს, ეთნომუსიკოლოგ ნინო რაზმაძეს, ქართული ქორეოგრაფიის ცნობილ მკვლევარ უჩა დვალიშვილს, აჭარაში მოღვაწე ფოლკლორისა და ქორეოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ახალი ურთიერთობები ჰქონდათ შუახევის რაიონის სოფელ მახალაკიძეებში არსებულ დარჩიძეების საოჯახო ანსამბლთან. დედ-მამის დაწყებულ საქმეს ახლა შვილები ბადრი, ავთანდილი და ეთერი აგრძელებენ. ბადრი შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ფესვების» მთავარი ქორეოგრაფია, ეთერი - ბათუმის ხელოვნების სკოლასთან არსებული ანსამბლის ხელმძღვანელი. ავთანდილი მშობლიური მარეთის ხეობის ფოლკლორს აცოცხლებს და «მარეთის» რეპერტუარში შეაქვს. ხუთზე მეტი სიმღერით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე «მარეთის» წევრები. მათ სიმღერებში ჰარმონიულად იყო ჩართული ცეკვები, შაირები, რომლებიც მეტწილად მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება.



ღონისძიების დასრულების შემდეგ სცენაზე ერთად დადგნენ მონაწილე ანსამბლების წევრები, სიმღერა წამოიწყეს და დარბაზიც აიყოლიეს.

- პირველ რიგში, დიდი მადლობა ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას, რომ დარბაზი უსასყიდლოდ დაგვითმო. ზაფხულის ცხელი დღის მიუხედავად, მაყურებელიც საკმოდ გვყავდა. ჩვენი პროექტი თბილისსა და რეგიონებში მოქმედი ანსამბლების დაახლოებას, შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებას ემსახურება. იგი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომით ხორციელდება. ჩვენი აპარატურით «ნაის», «იაგუნდის» «მარეთის» სიმღერები ჩავწერეთ, რასაც სოციალური ქსელებით გავავრცელებთ. «ნაის» და «მარეთს» აქვთ ის რეპერტუარი, შესრულების სილაღე, იმპროვიზაციულობა, რითაც დედაქალაქელი მაყურებელი განებივრებული არაა. ჩვენ შუახევთან, ქედასთან თანამშრომლობა გვაკავშირებს. გვინდა ასეთი ღონისძიებები სხვა რეგიონებშიც გავაგრძელოთ. «იალონი» 13 წელია არსებობს. გამოვდიოდით უცხოეთისა და რესპუბლიკურ ფესტივალებზე. ვიყავით ინგლისში, ჰოლანდიაში, ლიეტუვაში, უკრაინაში. პანდემიის პერიოდში საქართველოთი შემოვიფარგლებით, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით საინტერესო ღონისძიებებს ვმართავთ. გამოცემული გვაქვს 7 კომპაქტდისკი, ვართ ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებულები, გვაქვს საკუთარი ხელწერა, სიმღერის მანერა და გამორჩეული რეპერტუარი, - გვითხრა «იალონის» სამხატვრო ხელმძღვანელმა, ეთნომუსიკოლოგმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ნინო ნანეიშვილმა ღონისძიების დასრულების შემდეგ.

# «უპრიანი იქნება, სანდრო შარაშიძის დაწყებული საშვილიშვილო საქმე დაასრულონ»

***ზაქარია ქათამაძე მე-18 საუკუნეში ჭვანას შემორჩენილი ეკლესიის მღვდელი იყო. ახალციხის ფაშას სთხოვა, რომ ხეობაში ერთი მართლმადიდებელი სამლოცველო მაინც დაეტოვებინათ. ფაშამ ღვთისმსახურის ვედრება არ შეისმინა და ურჯულოებს ეკლესია მიწასთან გაასწორებინა***



გაუტეხელმა და მედგარმა ჭვანელებმა ეკლესიიდან ჯვარი და სხვა სიწმინდეები გახიზნეს, საიმედო ტერიტორიაზე გადამალეს და ზაფხულის ბნელ ღამეს გურიაში გადაასვენეს.

ჯვარიმინდორი, სადაც ხვალ დიდი ფესტივალი იმართება, მაშინაც ჭვანელების საფიცარი და სათაყვანებელი ადგილი იყო. კლდეში ნაკვეთი ბუნებრივი ჯვრის გამო, ზაქარიამ და მისმა მხლებლებმა ამ ტერიტორიაზე შეისვენეს. ზაქარიამ ჯვართან ჩაიჩოქა, მას და სხვა სიწმინდეებს ეამბორა და ხმამაღლა თქვა: «ჯვარო, მიდიხარ, ჯვარო, დაბრუნდები!»...

საუკუნეების განმავლობაში ოსმალები ჭვანის ხეობაში, აჭარის დანარჩენი ხეობებისა და სოფლების მსგავსად, მართლმადიდებლობასა და მის მიმდევრებს დევნიდნენ. დრომ თავისი გაიტანა. ისევ ჩამოჰკრა სხალთის ზარებმა 1989 წლის 19 მაისს, ისევ გაჩნდა მრევლი კედელზე ხავსმოდებულ სხალთის მონასტერში, ისევ დაიწყო აჭარის მთიანეთსა და ბარში ეკლესია-სამლოცველოების მშენებლობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2006 წლის დეკემბრიდან სხალთის ეპარქია ცალკე გამოიყო, რამაც აჭარის მთიანეთში და მათ შორის ჭვანის ხეობაში ბიძგი მისცა ცეცხლითა და მახვილით წართმეული სარწმუნოებისკენ შემობრუნებას.

მეუფე სპირიდონის (სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი) მიერ დაფუძნებული «ჭვანობის» ზეიმის დღეს (2007 წელი), სოფელ ჭალაში, კოკობელის სერზე ბიზნესმენ სანდრო შარაშიძის ინიციატივით, ჯვარი აღიმართა. იმავე დღეს ინიციატორმა და ეპარქიის ღვთისმსახურებმა დათქვეს, რომ კოკობილის სერზე, სადაც ერთ დროს მართლმადიდებელი ტაძრის ზარები ხმიანობდა, ეკლესიის მშენებლობა წამოეწყოთ. 2009 წლის შემოდგომაზე ტაძრის საძირკველი საზეიმოდ იკურთხა. ამ რიტუალს ესწრებოდნენ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში, მწერლები, პოლიტიკოსები. იმ დღეს გაჩნდა იდეა, რომ ტაძრის მშენებლობის დასრულებამდე მღვდელ ზაქარია ქათამაძის მიერ გადასვენებული ჯვრის ასლი იმავე გზით ჭვანაში, სოფელ ჭალაში მშენებარე ტაძარში გადმოესვენებინათ. ამ რიტუალს კი სანდრო შარაშიძე, ლევან მჟავანაძე და სხვა შუახეველი ბიზნესმენები, მწერლები, საზოგადოების წარმომადგენლები შეასრულებდნენ.

2012 წელს შემოქმედის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა იოსებმა ჯვრის ასლს პარაკლისი გადაუხადა. რიტუალის მონაწილეებმა შემოქმედის ეკლესიაში მოილოცეს და ჯვრის ასლი გზას გაუყენეს.

- ჯვარიმინდორს რომ მივუახლოვდით, 2 კილომეტრზე ჯვარი ხელით ვატარეთ. ჯვარიმინდორზე სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურები შემოგვეგებნენ. ჭვანიდან ჭალამდე ჯვარი ისევ ხელით ვატარეთ და მშენებარე ტაძარში დავაბრძანეთ. სანდრო შარაშიძე სიხარულს ვერ მალავდა. საკუთარი სახლის ეზოში სუფრაც გაშალა. ეს დღე ჩემი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო, - იხსენებს ბიზნესმენი, ქველმოქმედი ლევან მჟავანაძე.

> წლების წინ დაწყებული ტაძრის მშენებლობა დაუსრულებელია, მსურველი კი არ ჩანს. თუ ასე გაგრძელდა, ტაძარში დაბრძანებულ ჯვარსაც ჟანგი მოედება

...10 წელი გავიდა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა დროის ამ მონაკვეთში. მრავალი საშვილიშვილო საქმის წამომწყები და ინიციატორი სანდრო შარაშიძე წუთისოფელს შარშან გამოეთხოვა/გამოემშვიდობა. ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ თანამოსაქმეებმა, მეგობრებმა საგაზეთო ნეკროლოგიც კი დაიშურეს. ზოგიერთი დაწყებული საქმის გაგრძელებას ჰპირდებოდა, თუმცა ქველმოქმედი მიწას მიაბარეს თუ არა, სიტყვა დაივიწყა.

წლების წინ დაწყებული ტაძრის მშენებლობა დაუსრულებელია, მსურველი კი არ ჩანს. თუ ასე გაგრძელდა, ტაძარში დაბრძანებულ ჯვარსაც ჟანგი მოედება. ხვალ «ჯვარიმინდვრობის» ფესტივალია, ზოგიერთები სუფრის თადარიგს იჭერენ, სადღეგრძელოების წარმოთქმისთვის ემზადებიან... უპრიანი იქნება, სანდრო შარაშიძის დაწყებული საშვილიშვილო საქმე დაასრულონ და ჭვანის ხეობაშიც ეკლესიის ზარები აახმიანონ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

### და კვლავ კვარა...

# „მათ ქართველი ვუნდერკინდი ხვიჩა კვარაცხელია ჰყავთ, ნეაპოლში თამაში ადვილი არ იქნება“




მოგეხსენებათ, ორი დღის წინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა შედგა, სადაც ხვიჩას „ნაპოლის“ მეტოქეები გაირკვა. ჩვენებურის გუნდი „ლივერპულს“, „აიაქსსა“ და „რეინჯერსს“ დაუპირისპირდება.

ცნობილი გამოცემა The Guardian-ი „ლივერპულის“ შანსებს აფასებს და მის მეტოქეებზე ვრცლად საუბრობს.

„ლივერპულმა“ სეზონი არც ისე დამაჯერებლად დაიწყო. მისი ერთ-ერთი მეტოქე ჩემპიონთა ლიგაზე „აიაქსი“ იქნება, რომელიც 5 წლის შემდეგ ერიკ ტენ ჰაგმა დატოვა. ახალი მწვრთნელის ხელში ჯერჯერობით ამსტერდამელთა შანსები უცნობია. ალფრედ შროდერს „ჰოფენჰაიმში“, „აიაქსსა“ (მწვრთნელის ასისტენტად) და „ბრიუგეში“ უმუშავია. მართალია, ისინი სათამაშო სტილს არ შეცვლიან, თუმცა ლისანდრო მარტინესის, სებასტიან ალეს, ნუსერ მაზრაუის, რაიან გრავერბერხისა და, დიდი ალბათობით, ანტონის წასვლის შემდეგ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რთული იქნება. „ნაპოლის“ ქართველი ვუნდერკინდი ხვიჩა კვარაცხელია ჰყავს. ნეაპოლში სტუმრობა იოლი არავისთვის იქნება. რაც შეეხება „რეინჯერსს“, შოტლანდიური გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე 12 წლის შემდეგ დაბრუნდა და მარტივად წარმოსადგენია, თუ როგორი ატმოსფერო იქნება „აიბროქსზე“, - წერს ბრიტანული გამოცემა.

**შეგახსენებთ: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს „ნაპოლი“ „აიაქსის“ წინააღმდეგ 6 სექტემბერს გამართავს.**

# სპალეტი: კვარა უზარმაზარ წნეხს განიცდის... ის კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს




„მონცასთან“ სერია A-ს მეორე ტურში მოგებულ მატჩში (4:0) „ნაპოლის“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ და ფეხბურთელებმა ვიქტორ ოსიმენმა და ჯოვანი დი ლორენცომ დუბლის ავტორ ხვიჩა კვარაცხელიას თამაში შეაფასეს:

„ხვიჩას აქვს ხარისხი, ის შესანიშნავი პროფესიონალი და კარგი ბიჭია. მეტოქესთან ერთი ერთზე თამაშის განსაკუთრებული მანერა აქვს. იცის, კარი სად არის, შეუძლია მარჯვენათიც დაარტყას და მარცხენითაც.

ჯერ კიდევ გრძნობს ამ ახალ კლუბში უზარმაზარ წნეხს. უნდა განიტვირთოს. პირველ 10 წუთში მოჩანდა, რომ პრობლემები ჰქონდა. იცის, რომ საჭიროა მომთხოვნი პუბლიკის გართობა - „ნაპოლის“ გულშემატკივრები ასეთები არიან. ეს გოლები მღელვარების ნაწილობრივ მოხსნაში დაეხმარება“, - ციტირებს სპალეტის DAZN-ი.

სპალეტიმ კლუბის საიტთან განაცხადა, რომ ქართველი ტალანტია, ძალიან ემოციურია და როგორც კი იტალიურ ფეხბურთს შეეჩვევა, გაცილებით უკეთ ითამაშებს.

ოსიმენი: „კვარა შესანიშნავია, ნიჭიერია, მოედანზე ჩვენი ურთიერთმოქმედება უმჯობესდება და ერთად შეგვიძლია ჩვენს გუნდში მნიშვნელოვანი როლი ვითამაშოთ“.

დი ლორენცო: „კვარა დიდი ტალანტია და გვიხარია, რომ ჩვენთანაა. გუნდში კიდევ გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები და გვინდა, მატჩიდან მატჩამდე ჩვენი ფასეულობა დავამტკიცოთ“.

**ამირან გურიელიძე**

### უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ ისტორიაში პირველად, დაბომბვის შედეგად ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების გამო, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური გაჩერდა და ავტომატური სისტემა რომ არ ამუშავებულიყო და პერსონალს სათანადოდ არ ემოქმედა, რადიაციული ავარია მოხდებოდა. „დღეს ისტორიაში პირველად ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური გაჩერდა. საავარიო დაცვამ იმუშავა - დიზელის გენერატორები მაშინვე ამოქმედდა, რათა ელექტროსადგურისთვის ელექტროენერგიის მიწოდება მომხდარიყო. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რა საფრთხეა ეს: დიზელის გენერატორები რომ არ ჩართულიყო, ავტომატურ დაცვას არ ემუშავა და ელექტროსადგურის ჩვენს თანამშრომლებს არ ემოქმედათ, იძულებული გავხდებოდით, რადიაციული ავარიის შედეგები დაგვეძლია. რუსეთმა უკრაინა და ყველა ევროპელი ჩააყენა სიტუაციაში, როდესაც რადიაციულ კატასტროფას ერთი ნაბიჯი აშორებდათ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ატომურ ელექტროსადგურზე რუსული ჯარების ყოფნის ყოველი წუთი არის გლობალური რადიაციული კატასტროფის რისკი.

* * *

ტაივანმა უკრაინას ახლო რადიუსზე მოქმედი ბომბდამშენი დრონები გადასცა. ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „ტაივანმა უკრაინას 800 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატი „Revolver 860“ გადასცა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. ასეთ დრონს შეუძლია ატაროს რვა 60 მმ-იანი ნაღმტყორცნის ჭურვი ან სხვა კალიბრის საბრძოლო მასალა. სრულად დატვირთულ დრონს 40 წუთში 20 კილომეტრამდე მანძილზე ფრენა შეუძლია.

* * *

უკრაინის გენერალური პროკურატურის მონაცემებით, სრულმასშტაბიანი შეჭრის დღიდან რუსეთმა უკრაინაში 30 097 ომისა და აგრესიის დანაშაული ჩაიდინა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, დაფიქსირებულია ომის კანონებისა და წესების დარღვევის, აგრესიული ომის დაგეგმვის, მომზადების, გაჩაღებისა და წარმოების, ომის პროპაგანდის დარღვევისა და სხვა ტიპის დანაშაულები. ამასთან, გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, რეგისტრირებულია 14 038 დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შედეგად დაიღუპა 376 და დაიჭრა 733 ბავშვი.

* * *

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის მეოთხე ეტაპი დაიწყო, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველმა ალექსი არესტოვიჩმა განაცხადა. მისი თქმით, ამ ეტაპს წინ უძღოდა: სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყება უკრაინის ჩრდილოეთიდან რუსული ჯარების განდევნამდე; ლისიჩანსკისა და სევეროდონეცკის ოკუპაცია; მიკოლაივისა და კრივოი-როგის მიმართულებებით ოკუპანტების მხრიდან წინსვლის წარუმატებელი მცდელობები (10 ივლისიდან 10 აგვისტომდე). „ამ ეტაპზე მხარეები ადგილზე დადგებიან და დაარტყამენ ერთმანეთს, რაც შეეძლებათ, მაგრამ ჩვენ დარტყმის ბევრად მეტი შანსი გვაქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ გვაქვს HIMARS-ები და მათ არა“, - აღნიშნა არესტოვიჩმა. მისი თქმით, ომის მეოთხე ეტაპი ზამთრამდე - ორი-სამი თვე გაგრძელდება.

* * *

უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინული ძალების მიერ რუსეთის 45 850 ჯარისკაცია ლიკვიდირებული. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპანტების კუთვნილი სხვადასხვა სახის აღჭურვილობაც გაანადგურა. „მტრის საერთო დანაკარგი ასევე მოიცავს: 1 929 ტანკს, 4 245 ჯავშანმანქანას, 1 037 საარტილერიო სისტემას, 272 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, 148 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 234 თვითმფრინავს, 202 ვერტმფრენს, 3160 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 15 გემს/ნავს, 828 უპილოტო საფრენ აპარატს, 99 ერთეულ სპეცტექნიკას, 196 ფრთოსან რაკეტას“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

რუსეთი უკრაინაში კასეტურ ბომბებს იყენებს, რაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვას, სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების დაზიანებას იწვევს, - ამის შესახებ „კასეტური საბრძოლო მასალის კოალიციის“ ყოველწლიურ ანგარიშშია აღნიშნული. ორგანიზაციის ინფორმაციით, რუსული ძალების მიერ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენებით განხორციელებული ასობით თავდასხმის დოკუმენტირებული და სავარაუდო ფაქტი არსებობს მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. „რუსეთის მიერ საერთაშორისოდ აკრძალული კასეტური საბრძოლო მასალის ფართო გამოყენება უკრაინაში ცხადყოფს ადამიანის სიცოცხლის, ჰუმანიტარული პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების აშკარა უგულებელყოფას“, - განაცხადა ანგარიშის ერთ-ერთმა რედაქტორმა მერი ურეჰემმა. მისი თქმით, ამ იარაღის გამოყენება ყველა ქვეყანამ უნდა დაგმოს.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა იზრდება...

## აზარტული თამაშებიდან



საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, რომ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში 50 806 098 ლარს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 33 116 700 ლარს შეადგენდა. ამასთან, ამა წლის 7 თვეში ბიუჯეტში სათამაშო აპარატებიდან 25 220 923 ლარი შევიდა, წამახალისებელი გათამაშებიდან - 3 212 417 ლარი; სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (ონლაინკაზინოები) - 6 330 213 ლარი, სამორინეს მაგიდიდან - 15 752 001 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი კი 16 239 582 ლარი იყო.

## უბილეთო მგზავრების ჯარიმებიდან

ამა წლის 7 თვეში ბიუჯეტში უბილეთო მგზავრებისგან ჯარიმის სახით 927 654 ლარი შევიდა, რაც თითქმის 6-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, გასული წლის იანვარ-ივლისში უბილეთო მგზავრობის გამო დაჯარიმებული პირებისგან ბიუჯეტში 166 030 ლარის აკუმულირება მოხდა.

**ამირან გურიელიძე**

### განცხადება

# მკითხველთა საყურადღებოდ!

ანგისის მშვილდოსნობის სასროლეთის ბაზაზე 2022 წლის 14 სექტემბერს, 14:00 საათზე, ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციის საარჩევნო ყრილობა.

მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებმა გთხოვთ, ამა წლის 05 სექტემბრამდე წარმოადგინოთ შესაბამისი საბუთები:

1) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2) ავტობიოგრაფია;
3) ცნობა ნასამართლეობაზე;
4) საქართველოში არანაკლებ 5 წლის ცხოვრება.

ტელ: +995 595 966 761
ელ. ფოსტა: tamaz.phutkaradze@mail.ru

**აჭარის ა რ
მშვილდოსნობის ფედერაცია**

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/08/22, 22 15 სთ.

# ფესტივალი, რომელიც უხდება ქალაქს

## „ღამის სერენადები“ გაიხსნა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმი დიდი ხანია, ფესტივალების ქალაქად გადაიქცა და თითოეული გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით, იქნება ეს კლასიკური, თუ ფოლკლორული*



25 აგვისტოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მეთოთხმეტედ გაიხსნა უბრწყინვალესი მევიოლინისა და დირიჟორის ლიანა ისაკაძის მიერ ბიჭვინთაში 40 წლის წინ დაარსებული და ბათუმში 14 წლის წინ აღდგენილი ფესტივალი „ღამის სერენადები“. სწორედ აღდგენის შემდეგ უწოდებენ მას „ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალს“, რადგან ტრადიციულად ბათუმში იხსნება და თბილისში იხურება. ფესტივალს ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოში სახელგანთქმული არაერთი მუსიკოსი სტუმრობს, რომლებსაც მსმენელი მუდამ გულთბილად ხვდება. წელსაც ასეა.

„ღამის სერენადები“ გერმანიაში მოღვაწე ცნობილ კლარნეტისტ საბინე გროფმაიერისა და ფესტივალის საბაზო ორკესტრ „საქართველოს ვირტუოზების“ მონაწილეობით გაიხსნა. მსოფლიოში აღიარებულმა მუსიკოსმა მსმენელისთვის მოცარტის, ბრამსის, შოსტაკოვიჩის, სხვა კლასიკოსების ნაწარმოებები შეასრულა.

მეორე განყოფილებაში მსმენელთა წინაშე წარსდგა ამერიკაში დაბადებული და ავსტრიაში მოღვაწე პიანისტი ქეითი მაჰანი.

კონცერტის დაწყებამდე შეკრებილებს მიესალმნენ ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე, მისი დირექტორი ნინა ცაგარელი, ქალაქ ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი.

როგორც გიორგი ისაკაძემ აღნიშნა, ორგანიზატორებმა წელსაც, ტრადიციულად, მდიდარი და მრავალფეროვანი პროგრამა შეადგინეს. მან ერთხელ კიდევ შეახსენა დარბაზს ჩვენი ვირტუოზი მუსიკოსის ლიანა ისაკაძის შემოქმედება.

- უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ღონისძიებას ისევ ჩვენი უსაყვარლესი ბათუმი მასპინძლობს, ქალაქი დახვეწილი მუსიკალური გემოვნებით. ისევე, როგორც ფესტივალს, მის დამაარსებელსაც - ქალბატონ ლიანა ისაკაძეს დიდი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა აქვს განვლილი. მან ჯერ კიდევ ნორჩ ასაკში გაითქვა სახელი საბჭოთა კავშირში როგორც ვუნდერკინდმა. 14 წლისა ევროპაში გაიცნეს, როგორც უნიკალური მოვლენა, 18 წლისამ კი არაერთ მნიშვნელოვან კონკურსში გაიმარჯვა და მას შემდეგ თანამშრომლობს როგორც მუსიკოსებთან, ისე ცნობილ ორკესტრებთან. ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველთვის ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისთვის იღვწოდა. ქალბატონი ლიანა არის არაჩვეულებრივი, უნიკალური, თვითმყოფადი, ძალზე უკომპრომისო შემოქმედი, გამორჩეული მუსიკის სიღრმისეული წვდომით. ის ფესტივალისთვის ყოველთვის პროფესიონალებს არჩევდა. წელსაც შევეცადეთ შესანიშნავი მუსიკოსები მოგვეწვია. ისინი მასტერკლასებსაც ატარებენ და ახალ თაობას თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. მადლობა თითოეულ მხარდამჭერს, მათი თანადგომის გარეშე, ფესტივალი მაღალ დონეზე ვერ ჩატარდება, - აღნიშნა გიორგი ისაკაძემ.

ფესტივალის დირექტორმა ნინა ცაგარელმა მადლიერება გამოხატა იმათ მიმართ, ვინც ყველაფერს აკეთებს ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე მიესალმა შეკრებილთ და კმაყოფილება გამოხატა, რომ ფესტივალს ბათუმი მასპინძლობს და მას წითელ ზოლად მიჰყვება მაღალი კლასი, რაც ქალბატონი ლიანას დიდი დამსახურებაა. მან მადლობა გადაუხადა დამფუძნებლებს და ორგანიზატორებს და შეჰპირდა, რომ ბათუმის მერია ამ შესანიშნავ ღონისძიებას ყოველთვის დაუდგება გვერდით.

- გვიხარია, რომ ისევ მოგვეცა საშუალება, ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს შევთავაზოთ მაღალი დონის მუსიკა. მას არა მხოლოდ ჩვენი ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის კულტურის ისტორიაში, მის განვითარებაში წლებია, შეაქვს თავისი წვლილი. იგი კიდევ მრავალჯერ იტყვის თავის სიტყვას და ეს უფრო მაშინ, როცა თავის ფესვებს, საქართველოს ულამაზეს კუთხეს, აფხაზეთს დაუბრუნდება, საიდანაც დაიწყო ყველაფერი და ჩვენს გაერთიანებაში შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს. ჩვენ ყოველთვის დავუჭერთ მხარს მას. აღსანიშნავია, ფესტივალის შემოქმედებითი მხარე, მონაწილეთა მაღალი საშემსრულებლო დონე. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, საქმე ხომ გენიალურ ქალბატონ ლიანა ისაკაძეს ეხება. არასოდეს მოშლოდეს მას ერთგული მსმენელი, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

რაც შეეხება კონცერტს, მისი პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, კლარნეტისტ საბინე გროფმაიერს დაეთმო, რომელიც გზადაგზა გვიამბობდა საკუთარი შემოქმედების იმ ნაწილზე, რომელიც საქართველოსთანაა დაკავშირებული. ის ჩვენთან მეორედ ჩამოვიდა. საბინე გროფმაიერმა შეასრულა ბახის, ბრამსის, პიაცოლას, ბერნსტაინისა და სხვა ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები... მეორე განყოფილებაში მასთან ერთად გამოვიდა ცნობილი პიანისტი ქეითი მაჰანი. მათ ერთად ბრწყინვალედ დაუკრეს გერშვინის „ცისფერი რაფსოდია“ კლარნეტის, ფორტეპიანოსა და ორკესტრის თანხლებით, პიანისტმა კი ბისზე მოცარტის „თურქული მარში“ შეასრულა.

საბინე გროფმაიერი დაკვრას ცნობილ პედაგოგებთან სწავლობდა, მასტერკლასებს გადიოდა ასევე ძალიან ცნობილ მუსიკოსებთან. არაერთი ჯილდოს მფლობელია. აქტიურ სოლო საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, დაკრული აქვს გერმანიის თითქმის ყველა საკონცერტო დარბაზში. რეგულარულად მართავს კონცერტებს ავსტრიაში, შვეიცარიაში, ისრაელში, ინგლისში, ესპანეთში, შვედეთში, თურქეთში, საფრანგეთში, ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკაში. არის სხვადასხვა ფესტივალისა და კონცერტის ორგანიზატორი. აქვს გამოცემული აუდიოალბომი. მას ცნობილმა მუსიკისმცოდნე კურტ პალენმა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული არტისტი უწოდა.

ქეითი მაჰანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტადაა მიჩნეული. ის აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მის საკონცერტო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია ბეთჰოვენისა და გერშვინის ნაწარმოებებზე. მასთან შეხვედრა მსმენელს ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

- საქართველო შესანიშნავი ადგილია ასეთი არაჩვეულებრივი ფესტივალისთვის. აღფრთოვანებული ვარ ორგანიზატორებით, ასეთი ლამაზი ფესტივალის მოწყობით, არაჩვეულებრივ აუდიტორიასთან შეხვედრით. ქეითის ადრეც შევხვედრივარ და ერთადაც გამოვსულვართ. ეს შესანიშნავი წუთებია. თუ მომიწვევენ, ისევ სიამოვნებით ჩამოვალ, რადგანაც ეს არის სიყვარულის, მშვიდობის, კარგი მუსიკის ფესტივალი. მომწონს, როგორ მუშაობენ ჩემი კოლეგები. გამორჩეულად ვუხდი მადლობას ორკესტრს და, რაც მთავარია, მსმენელს. მომწონს საფესტივალო გუნდი, თითოეულს ვუხდი მადლობას, ასევე თქვენ, ასე გულთბილად რომ მიგვიღეთ, - თქვა საბინემ.

- ეს იყო შეუდარებელი საღამო, უმაღლესი „პილოტაჟი“. მადლობა მუსიკოსებს და ორგანიზატორებს ასეთი დიდი სიამოვნებისთვის, - გვითხრა პროფესორმა ირინა ხერჟმა.

- ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა დღევანდელმა საღამომ, შემსრულებლებმა. წინა წლებში არც ერთი კონცერტი არ გამიცდენია, როცა ქალბატონი ლიანა ისაკაძე ჩამოდიოდა და თავადაც მონაწილეობდა. ეს იყო უდიდესი სიამოვნება. ბოლო წლებში (და ამაში, ალბათ, კოვიდიცაა დამნაშავე) თითქოს გამინელდა ინტერესი, მაგრამ დღეს ის სასიამოვნო წუთები დამიბრუნდა. ბათუმს უხდება ასეთი მაღალი დონის კონცერტები, შემსრულებლები, სითბო და სიყვარული. მადლობა მინდა ვუთხრა ბათუმის მერიას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ სიამოვნებისთვის. ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ, - თქვა მუსიკოსმა ქეთევან მანელიშვილმა.

- ამ ფესტივალის დიდი გულშემატკივარი ვარ, რადგან 2002 წლიდან ლიანა ისაკაძესთან ვთანამშრომლობდი - საორგანიზაციო ჯგუფში ვიყავი. არაჩვეულებრივი კონცერტი იყო. საბინე ერთ-ერთი საუკეთესო კლარნეტისტია ევროპაში. შარშანაც მონაწილეობდა ამ ფესტივალში და შემდეგ თბილისში ჩაატარა მასტერკლასები ჩვენს საუკეთესო ბავშვებთან. ამ გაკვეთილებში გაიხსნა მისი, როგორც მუსიკოსის დამოკიდებულება ნაწარმოებების ინტერპრეტაციისადმი. დავინახეთ, როგორ უდგება სხვადასხვა ნაწარმოებს. დღევანდელ კონცერტზეც გამოვლინდა მისი მაღალი კულტურა, ბგერის საოცარი ფლობა. ეს ისეთი მაღალი დონეა, რომ სამაგალითო და სანიმუშოა ჩვენი შემსრულებლებისთვისაც. დღეს ევროპული სტილის საუკეთესო მაგალითი იყო საბინეს დაკვრა და ქეითის მოცარტის „რონდო“. შესანიშნავი საღამო გვაჩუქეს ორგანიზატორებმა, - გვითხრა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე თინა ღვინერიამ.

ფესტივალ „ღამის სერენადების“ დამფუძნებელია ლიანა ისაკაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - გიორგი ისაკაძე, დირექტორი - ნინა ცაგარელი. ფესტივალის ორგანიზატორია კომპანია „არტ ალიანსი“. ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალის მხარდამჭერები არიან: ქალაქ ბათუმის მერია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, იტალიის საელჩო საქართველოში, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, საფრანგეთის საელჩოსთან არსებული ფრანგული ინსტიტუტი.

ფესტივალის ოფიციალური მზღვეველია კოპანია „არდი“, მასპინძელი - სასტუმრო „ჰილტონ გარდენ ინ თბილისი“.

პარტნიორები: ხარისხისა და დიზაინის საუკეთესო გარანტი - ავეჯის სახლი „ნიტა“, კომპანია „ფუდალიანსი“, პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი „ლუტეცია“, პარფიუმერიის ბუტიკი „არომატეკა“, კომპანია „სარაჯიშვილი“, „ხომლის მარანი“, მეღვინეობა „თიესვი“, ფარმაცევტული კომპანია „პსპ“.

საინფორმაციო მხარდამჭერები გახლავთ: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პირველი არხი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, „პოს ტვ“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, „არტარეა“ - პირველი არხი კულტურაზე, „ტვ 25“, მედია და ციფრული კომუნიკაციების სააგენტო „კლიპ არტი“, ambebi.ge, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ ტაიმი“, „ევორდი“, „ჯორჯიან პრესი“, ინგლისურენოვანი გაზეთ „Georgia Today“, ყოველდღიური ინგლისურენოვანი გაზეთი „Messenger“, ჟურნალი „სარკე“, გაზეთი „აჭარა“, რადიო „ფორტუნა“ და ვებ-საიტი fortuna.ge.